პირველი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

BTU

ბიზნესისა და
ტექნოლოგიების
უნივერსიტეტი

სარჩევი

გიორგი ბერიაშვილი, „პროგრამული ენა „RUST“-ის რეალიზება ვიდეო თამაშების განვითარებაში“ 1

ირინა ინაშვილი, „ქუჩის ბავშვები საქართველოში“ 3

გიორგი ამაშუკელი, „აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება - აზარტომანია“. 5

ანა ზურაბაშვილი, „პარკირების პრობლემა თბილისში“ 7

თეონა ნიქაბაძე , „გენმოდიფიცირებული საკვების უსაფრთხოება“ 9

ლიკა კვიტაიშვილი, „გარემოსდაცვითი საკითხები ქალაქ თბილისში, 2015-2018 წლებში“ 11

მარიამ იშხნელი, „გენდერული თანასწორობის შემეცნება პოლიტიკურ, სოციალურ, რელიგიურ ჭრილში ახლო აღმოსავლეთისა და დასავლურ ცივილიზაციებში” 13

მარიამ ჩახვაძე, „საკვები დანამატების მხრივ 2001-2005 წლებში მიღებული სტანდარტების დაცვა საქართველოში 2018 წელს“ 15

მიხეილ შავერდაშვილი, „კიბერსპორტის დამკვიდრება ნამდვილი სპორტის ერთ-ერთ სახეობად“ 17

ნიკიტა ხატისოვი, „მუსიკის გავლენა ადამიანის განწყობაზე“ 19

შოთა ფირანაშვილი, „26 მაისთან დაკავშირებით უპასუხოდ დარჩენილი უამრავი კითხვა“ 21

საბა ქოსაშვილი, „ტერორიზმის აღმოფხვრის გზები საქართველოში“ 23

ლუკა ფარჩუკიძე, „განათლების ისტორია და მისი დონე საქართველოში“ 25

პროგრამული ენა „RUST“-ის რეალიზება ვიდეო თამაშების განვითარებაში
გიორგი ბერიაშვილი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება
საინფორმაციო ტექნოლოგიები
GIORGI.BERIASHVILI.1@BTU.EDU.GE

ნებისმიერი ვიდეო თამაში არის კომპიუტერული პროგრამა. ვიდეო თამაშის კომპლექსურობა დამოკიდებულია მის შემქმნელსა და კომპიუტერულ არქიტექტურასთან ლოგიკურ თანხვედრაზე. რაც უფრო უმჯობესდება კომპიუტერული სისტემის წარმადობა, მით უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევა დეველოპერს თავისი ჩანაფიქრის მიხედვით შექმნას სხვებისთვის ხელმისაწვდომი პროდუქტი.

დეველოპმენტის პროცესში შეიძლება მრავალი პროფესიის წარმომადგენელი ჩაერთოს, მაგრამ საბოლოოდ ყველა არსებული ადამიანის მიერ შექმნილი რესურსის გაერთიანება და მათი ლოგიკური თანწყობა კომპიუტერისათვის გასაგებ ენაზე პროგრამისტს უწევს.

პროგრამისტისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თუ რა ტექნოლოგიებით/მეთოდებით ცდილობს ვიდეო თამაშის აწყობას. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არჩევანი კი პროგრამული ენის განსაზღვრაა, რომელიც პრობლემების გადაჭრაში არსებით როლს თამაშობს.

კოდი, რომელიც თამაშის შესაქმნელად იწერება, სასურველია იყოს ოპტიმიზირებული, საიმედო, მოდულარული და განვრცობადი. ხშირ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების დაკმაყოფილება დადებითად აისახება არამხოლოდ დეველოპერებზე, არამედ ვიდეო თამაშის გამომცემლებზე და რაც მთავარია - მომხმარებლებზე.

კვლევის თემა ეხება პროგრამულ ენა "RUST"-ს და მის როლს ვიდეო თამაშების განვითარებაში. ღუსტ-ი თავისივე შემქმნელებისგან ხასიათდება როგორც კომპილირებადი, სისტემების პროგრამული ენა, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას აკონტროლოს სისტემის დაბალი დონის დეტალები ისე, რომ პროგრამული ენის დიზაინში მაღალი დონის ერგონომიკა არ დაირღვეს.

ვინაიდან დღევანდელ რეალობაში ვიდეო თამაშებისთვის აქტუალურია მრავალ-პლატფორმული მხარდაჭერა, სისწრაფე, ვიზუალი, სხვადასხვა ონლაინ სერვისებთან ინტეგრაცია და მრავალი სხვა ნიშან-თვისება, ყურადღება მიექცევა ღუსტ-ის მახასიათებლებსა და მის აქტუალურობას ვიდეო თამაშების ინდუსტრიაში.

კვლევის მიზანია, დამტკიცდეს ღუსტ-ის ვარგისიანობა ვიდეო თამაშებისა და მათთან ასოცირებული პროგრამული უზრუნველყოფების (ძრავი, კლიენტი, სერვერი და ა.შ) შესაქმნელად, რასაც ასაბუთებს კვლევაში არსებული მრავალფეროვანი ტესტირებები..

" SOFTWARE LANGUAGE "RUST" REALIZES THE DEVELOPMENT OF VIDEO GAMES "

GIORGI BERIASHVILI
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION
INFORMATION TECHNOLOGIES
GIORGI.BERIASHVILI.1@BTU.EDU.GE

Every video game is a computer program. The complexity of a video game depends on what the developer has in mind and how logically concurrent the video game is with the desired computer architecture. As computers become more powerful, the gap between what is possible to make and what developers have in mind diminishes. This phenomenon enables developers to publish products to end users while being sure that they accomplished exactly what they planned to do.

There are many roles which might partake in the process of making a video game. However, the crucial part of packaging all of the man-made resources together and sorting them in the specific way for the computer to interpret the instructions correctly is done by programmers.

When creating a video game, the decisive factor for the programmer is to choose which technologies/methods to leverage to complete the task. One of the most prominent decisions is to choose a programming language, as they can solve many development related challenges.

The code, which is written to create video games, is ought to be optimized, reliable, modular and extensible. In the majority of cases, abiding by the aforementioned criteria positively affects not only the developers, but also the publishers, and more importantly – the end users.

The main topic of the research deals with the programming language called "Rust" and its role in video game development. Rust is defined by its creators as a compiled, systems programming language, which enables users to control system's low-level details while maintaining the high-level ergonomics of the programming language's design.

Insofar as in today's reality it is important for video games to be cross-platform, fast, visually adept/pleasing, integrated with numerous online services and bundled with all sorts of features, the focus will be on Rust's characteristics and its applicability in the video game industry.

The aim of the research is to affirm whether or not Rust is competent in creating video games and the associated software (engine, client, server, etc.), which is supported by various experiments depicted in the research.

ქუჩის ბავშვები საქართველოში
ირინა ინაშვილი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება
საინფორმაციო ტექნოლოგიები
IRINA.INASHVILI.1@BTU.EDU.GE

ნაშრომი „ქუჩის ბავშვები საქართველოში“ ემყარება სხვა-და-სხვა კვლევებსა და ფაქტებს. სტატისტიკის მიხედვით საქართველოში დღეს 500-დან 5000-მდე უსახლკარო ბავშვია. მათ მძიმე პირობებში უწევთ ცხოვრება, არ აქვთ სითბო, თავშესაფარი, ჯანსაღი საკვები და აქედან გამომდინარე, მათ ჯანმრთელობას სერიოზული პრობლემები ექმნება. კვლევის მნიშვნელობას ხაზს უსვამს 2003 წელს დასახული ევროკავშირში ინტეგრაციის სტრატეგია, რომელიც ამ პრობლემის მოგვარებასაც გულისხმობს. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საუბარს თავს არიდებენ მკვლევარები და სხვა -და-სხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები, ვინაიდან „ქუჩის ბავშვი“ მეტნაკლებად დისკრიმინაციული და ბუნდოვანია. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, ეს ტერმინი განიმარტება შემდეგნაირად - „ეს არის ბავშვების ის ჯგუფი, რომელთა ცხოვრება, განვითარება, ურთიერთობები და კავშირები მჭიდროდ არის დაკავშირებული ქუჩასთან, რაც მათი იდენტობის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს”.

კვლევის მიზანია ზუსტად დავინახოთ მათი საჭიროებები და შეძლებისდაგვარად დავაკმაყოფილოთ ისინი. უამრავი ფაქტორის არსებობის მიუხედავად, ეკონომიკური სიდუხჭირე ყველაზე მთავარ ბიძგად ისახება, რაც მათ აიძულებს ქუჩაში გამოვიდნენ და მოწყალების სათხოვნელად ხელი გამოიშვირონ. კვლევა მიზნად ისახავს პასუხი გაეცეს კონკრეტულ კითხვებს: როგორ ვითარდება მათი ცხოვრება და რა ეტაპებს გადიან ისინი, რომ იარსებონ? ხომ არ არის მათ ცხოვრებაში ისეთი პირი, ვინც მათ აძალებს ქუჩაში არასასურველი საქმიანობის შესრულებას?

მიუსაფარი ბავშვების პრობლემების კომპლექსურობიდან გამომდინარე, მკვლევარების აზრით, ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად თანმიმდევრული მუშაობაა საჭირო. პირველ რიგში საჭიროა მათი ემოციური და ფიზიკური მდგომარეობის გაგება და ნდობის მოპოვება. შემდგომი ეტაპი გულისხმობს ამ ბავშვების ოჯახების გაძლიერებას, რათა მათ არ მოუწიოთ შვილების ქუჩაში გაშვება და იძულება მოწყალების თხოვნისა.

გამოყენებული წყაროები გვაძლევს ერთ კომპლექსურ სურათს, თუ რა ვითარებაა საქართველოში „ქუჩის ბავშვების“ საკითხზე, როგორი მწვავე სურათია დღეს ჩვენს ქვეყანაში და რა ღონისძიებები დაგვეხმარება ამ ვითარების აღმოსაფხვრელად. გაეროს ბავშვთა ფონდი და მათი ჩატარებული კვლევები ჩემი მთავარი გზამკვლევია, მოწოდებული სტატისტიკა და ზოგადი ინფორმაცია სწორედ მათი კვლევების საფუძველზეა გამოყენებული.

STREET CHILDREN IN GEORGIA
IRINA INASHVILI
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION
INFORMATION TECHNOLOGIES
IRINA.INASHVILI.1@BTU.EDU.GE

The work ,,Street Children in Georgia'' is based on different researches and facts. According to the statistics the number of street children counts from 500 to 5000 who have to live in unbearable conditions, without any heating, shelter or healthy food which further causes some serious health problems. This issue was underlined by creating a strategy in 2003 for integrating to European Union, also aiming for solving this problem. Most of the researchers and successful people in different fields avoid talking about this topic because a ,,street child'' is rather discriminated and obscure by its meaning. This term as stated in one of the sources means: ,,this is a group of children whose life, progress and relations is connected to the streets, which later takes a big share in creating their identity.''

The goal of the research is to see their needs precisely and to satisfy them as it is possible. Despite a lot of factors, the economical poverty appears to be the main reason why they come out to the outdoors and beg for help. This exploration aims to answer some specific questions: How are their lives developed and what are the stages that they have to go through to survive? Is there someone behind who forces them to do all the unpleasant job in the streets?

Due to the complexity of the homeless children's issue, we have to do a consistent job to solve it. First of all, we have to understand their emotional and physical state and gain their trust. Next step is to support their families so that the children do not have to go the streets to beg for help.

The sources we used gives us a harsh reality about what is done for investigating the topic of the street children in Georgia and what are the events that helps us to improve or prevent the situation. The researches conducted by UNICEF are guiding me to gather all the necessary information and statistics.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება - აზარტომანია
გიორგი ამაშუკელი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება
საინფორმაციო ტექნოლოგიები
giorgi.amashukeli.1@btu.edu.ge

აზარტომანია ეს არის ფულზე თამაში ან რაიმე ღირებულზე ფსონის დადება, თამაშის შედეგი კი წინასწარ არასდროსაა ცნობილი. მიზანი ფულის ან მატერიალური საქონლის მოგებაა. აზარტულ თამაშებს შეიძლება ჰქონდეს საზიანო გავლენა მოთამაშის ფინანსებზე.

თუმცა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, იწვევს უფრო დიდ პრობლემებს ვიდრე ფულის დაკარგვაა. აზარტომანები ხშირად ამბობენ, რომ ისინი თავს გრძნობენ იზოლირებულად, ეს ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ ძირითადად კონცენტრირებულნი არიან დანაკარგის დევნაზე. აზარტომანები ხშირად სკოლაში სიარულს, კოლეჯს ან სამსახურს ანებებენ თავს თამაშის გამო. გარდა ამისა, სასკოლო აქტივობებში ჩართვისას ხშირად განიცდიან ურთიერთობების შენარჩუ-ნების ინტერესისა და მოტივაციის ნაკლებობას.

აზარტომანია შეიძლება იყოს პროგრესული ხასიათის და გამოიწვიოს თამაშში ჩართული პიროვნებების კრიმინალთან დაახლოება, მათი თამაშის დაფინანსების მიზნით. ამან კი შესაძლოა სისხლის სამართლის დანაშაულის მატება მოგვცეს შედეგად.

უმეტესი სამართლებრივი სისტემები, სადაც აზარტული თამაშები დაშვებულია, ითხოვს თამაშის მონაწილე იყოს გარკვეულ ასაკს ზემმოთ. ზოგ სამართლებრივ სისტემაში, აზარტული თამაშების მონაწილის ასაკი განსაზღვრულია თამაშის ტიპის მიხედვით.

აზარტული თამაშების გავლენისგან არცერთი მოქალაქე დაზღვეული არაა. ინტერნეტმა კი მსგავსი გართობა მყისიერად ხელმისაწვდომი გახადა.

GAMBLING ADDICTION
GIORGI AMASHUKELI
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION
INFORMATION TECHNOLOGIES
GIORGI.AMASHUKELI.1@BTU.EDU.GE

Gambling is the wagering of money or something of value on an event with an uncertain outcome, with the primary intent of winning money or material goods. Problem gambling can have a detrimental effect on personal finances.

However, the impacts of problem gambling can be more than losing money. Problem gamblers often say they feel isolated as a result of their solitary pursuits of chasing loses. There is a tendency to stay away from school, college or work in order to gamble. In addition, there is often a pre-occupation with gambling, a lack of interest in maintaining relationships and a lack of motivation to engage in social activities.

Problem gambling can be progressive in nature and problem gamblers can end up engaging in criminal activity to fund their gambling. This can lead to lifelong consequences with criminal conventions.

Most jurisdictions that allow gambling require participants to be above a certain age. In some jurisdictions, the gambling age differs depending on the type of gambling.

It does not matter where living, you and your children are vulnerable to the influences of gambling. The internet has made gambling instantly, addictively available.

პარკირების პრობლემა თბილისში
ანა ზურაბაშვილი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება
საინფორმაციო ტექნოლოგიები
ANA.ZURABASHVILI.1@BTU.EDU.GE

21-ე საუკუნეში საქართველოში ავტომობილების რაოდენობა მკვეთრად გაზრდილია. ავტომობილი, ერთ დროს ფუფუნებად მიიჩნეოდა, დღეს უმრავლესობისთვის ყოველდღიურობის ნაწილია. ტექნიკის განვითარებამ ადვილი და სწრაფი გადაადგილების საშუალება მოგვცა, მაგრამ უამრავი პრობლემის წინაშე დაგვაყენა. მკვლევარები, არქიტექტორები, უცხოეთიდან მოწვეული კონსულტანტები და ჩატარებული კვლევები ცხადყოფენ, რომ პარკირების სისტემა თბილისში საკმაოდ მწვავე პრობლემაა, რომლის მთავარი გამომწვევი მიზეზი ავტომობილების მზარდი რაოდენობაა. ამის გამო ხშირად ვხვდებით ისეთ პრობლემას, როგორიცაა ქვეითთა სავალ ნაწილზე გაჩერებული მანქანა, მას გზაზე გადასვლა უწევს, რითაც საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს. ასევე იქმნება დამატებითი საცობები ისეთი ავტომობილების მოძრაობისგან, რომლებიც ეძებენ პარკირების ადგილს. იქმნება პრობლემა საფეხმავლო არეალებზეც, რაც ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა ქალაქისათვის. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია დროულად გატარდეს რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქში გამოიწვევს უწესრიგობას. კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს დედაქალაქში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემის გაანალიზება, განხილვა და მისი მოგვარების მეთოდების ჩამოყალიბება.

PARKING PROBLEM IN TBILISI

ANA ZURABASHVILI
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION
INFORMATION TECHNOLOGIES
ANA.ZURABASHVILI.1@BTU.EDU.GE

In the 21st century, the number of cars have increased sharply in Georgia . Once, a car was considered as a luxury but now it is a part of everyday life. Development of the technique gave us a chance to make life easier and faster, but it also made us to encounter a lot of problems. Researchers, foreign consultants and studies show that the parking system in Tbilisi is quit a big problem, and the main cause is the increasing number of cars.

Because of this, we often encounter a problem such as a car parked on the infantry. Additionally, there are traffic jams which are caused by vehicles looking for parking space. There is a problem in pedestrian areas, which is the main challenge for the city. In order to eradicate this problem, it is necessary to take any important step in a timely manner, otherwise the city will be in chaos. The aim of the research is to analyze, discuss and take care of one the biggest problems in the Georgian capital.

გენმოდიფიცირებული საკვების უსაფრთხოება
თეონა ნიქაბაძე
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება
საინფორმაციო ტექნოლოგიები
TEONA.NIKABADZE.1@BTU.EDU.GE

დღესდღეობით ძალიან აქტუალურია კითხვა: „არის თუ არა სახიფათო გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვები?“, თუმცა ჩვენ ყოველთვის ვახდენდით გენეტიკურ გადარჩევას. ადამიანები ირჩევდნენ ისეთ მცენარეებსა და ცხოველებს, რომლებსაც ყველაზე სასურველი ნიშან-თვისებები ჰქონდათ. დღეს, წარსულისგან გასხვავებით, შესაძლებელია გენის ხელოვნურად ცვლილება და ჩარევა ცოცხალი ორგანიზმის უჯრედში, რომლისთვისაც გამოიყენება თანამედროვე ბიოტექნოლოგია. გენეტიკურად მოდიფირცირებულ ორგანიზმებს ჩMჭ (ჩენეტიცალლყ მოდიფიედ ორგანისმ) ეწოდება. გენმოდიფიცირებულ საკვებზე მოსაზრება ორად იყოფა. ერთი მხარის აზრით ასეთი საკვები სახიფათოა ორგანიზმისთვის და აბინძურებს გარემოს, ხოლო მეორე მხარის მოსაზრებით ასეთი საკვები საერთოდ არ არის სახიფათო და შეიცავს იმ ნუტრიენტებს, რაც აუცილებელია ორგანიზმისთვის. მეორე მხარე ამტკიცებს, რომ არა ჩM საკვები, დღეს მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილით დაიხოცებოდა.

გენმოდიფიცირებული საკვები გვხვდება ყველგან, ამიტომ ეს თემა საკმაოდ პრობლემური და აქტუალურია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მოსახლეობის ზრდასთან ერთად, 2050 წლისთვის ჩვენ დაგვჭირდება 50%-ით უფრო მეტი საკვების წარმოება, ვიდრე დღეს. ამიტომ გენეტიკური ინჟინერია უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ამის თანმდევი პროცესია მოსახლეობის ნაწილის შიში და პროტესტი ჩM საკვების მიმართ. ძალიან ბევრს აშინებს ის ფაქტი, რომ გენეტიკური ინჟინერია არაზუსტია და შესაძლოა შედეგები არ იყოს ის, რასაც ველოდებით. ამასთან ერთად კვლევები აჩვენებს, რომ ამერიკაში მარცვლეულის 50 პროცენტი გენმოდიფიცირებულია ხოლო მსოფლიოში დამუშავებადი მიწის 10%-ზე მეტი ჩM მცენარეებს უკავიათ. ასევე ამერიკის ნაციონალური მეცნიერების აკადემიის კვლევები აჩვენებს, რომ დღესდღეობით არავითარი სამხილი არ არსებობს იმისა, რომ ჩM მარცვლეული სახიფათოა და არ არსებობს დასკვნა, რომ გენმოდიფიცირებული საკვები გარემოს აზიანებს.

GENETICALLY MODIFIED FOOD SAFETY

TEONA NIKABADZE
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION
INFORMATION TECHNOLOGIES
TEONA.NIKABADZE.1@BTU.EDU.GE

Nowadays, there is the question which is very popular: 'Is GM food dangerous?'. However, we were doing genetic modification since ancient times. Humans were choosing plants and animals which had desirable traits. Today, unlikely from the past, we can modify gene artificially and change live organism cell using modern Biotechnology. Genetically modified organisms are called GMOs. The opinion about GM foods is divided. One side thinks that this kind of food is dangerous for human organism and pollute environment. The second half thinks that GM foods are not dangerous at all and contain nutrients, which are necessary for our organisms. They also thinks that without GM food half of the population would die.

Nowadays, GM food are everywhere, that's why this topic is popular and problematic. According to the data of the World Bank, with growing population, in 2050 we will need 50% more food than today. Because of that, subject of genetic engineering is moving more and more talked about. However, part of the population is scared of GM foods are afraid of the fact, that genetic engineering is not precise and the results might not be something we expected. In addition to that, in the US more than 50% of crops are genetically modified and in the world more that 10 percent of tilled land is occupied by GM plants. Today there is no evidence that GM crops are dangerous and GM foods harm environment.

გარემოსდაცვითი საკითხები ქალაქ თბილისში, 2015-2018 წლებში
ლიკა კვიტაიშვილი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება
საინფორმაციო ტექნოლოგიები
LIKA.KVITAISHVILI.1@BTU.EDU.GE

თანამედროვე საქართველოში ძალიან მწვავე პრობლემის წინაშე ვდგავართ, ეკოლოგიური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. აქ მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ბუნებრივ გარემოზე. დღეს, საქართველოს ხელისუფლება მიჰყვება იმ არასახარბიელო პოლიტიკას, რომლის მიხედვით ჯერ უნდა ავითვისოთ ქვეყნის ბუნებრივი რესურსები და სივრცეები, ხოლო შემდგომ დავიწყოთ გარემოს მოვლაზე ფიქრი. ის ფაქტი, რომ გარემოს დაზიანებით მიღებული შემოსავალი მის აღდგენას არ ჰყოფნის, როგორც წესი, ქართულ რეალობაში უგულებელყოფილია.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად დამტკიცდა, რომ ამ მხრივ, დედაქალაქი ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია. აქ ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლმა 300%-ით გადააჭარბა ნორმას. ასევე 2016 წლის (Iნტერნატიონალ Eნერგყ Aგენცყ-ის კვლევა) მონაცემებით, საქართველო რიგით პირველი ქვეყანა იყო, სადაც სიკვდილიანობის ძირითად გამომწვევ მიზეზად ჰაერის დაბინძურება დასახელდა. ამიტომაც, რეგულარულად უნდა მოწმდებოდეს ტრანსპორტის გაუმართაობის საკითხი, საწვავის ხარისხი და კიდევ სხვა უამრავი ფაქტორი.

სწორედ ამიტომ, პრიორიტეტულია, რაც შეიძლება მეტ ადამიანს მივაწვდინოთ ინფორმაცია ამ საკითხის შესახებ. რასაკვირველია, ამავდროულად ხელისუფლებასაც, რომელსაც ხალხის მოზიდვისა და კამპანიაში მათი ჩართვის ყველაზე დიდი რესურსი აქვს. თუნდაც წახალისების მიზნით რომ დაწესდეს ფულადი ჯილდო მათთვის, ვინც ხელსაყრელ რეფორმას გაატარებს. მაგალითად: დარგავს ხეს ყოველ წელიწადში ერთხელ მაინც, შეამცირებს პოლიეთილენის ბოთლებისა თუ პარკების გამოყენებას, გადაამუშავებს იმ ნივთებს, რომლებიც გამოუსადეგარია და ა.შ

საბოლოო ჯამში, არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე აზრთა სხვადასხვაობა საქართველოში იშვიათია. როგორ უნდა განსხვავდებოდეს ჩვენი შეხედულება ამ საკითხის მიმართ, როდესაც ცხადზე ცხადია დღევანდელი, თუ ბოლო 3 წლის პერიოდის მდგომარეობა.ტრანსპორტის გამონაბოლქვი, გზების მდგომარეობა, გადამწვარი ხე-ტყე, გაჩეხილი ხეები, ფაბრიკა-ქარხნების ზეგავლენა, ქუჩაში დაყრილი ნაგავი და შემდგომ ეს ნაგავი ქარის შედეგად მდინარეებსა თუ ხეებზე მოხვედრილი, სამშენებლო პროცესების შედეგები და თუნდაც ბუნებაში გაჩენილი ხანძრები. ეს ის მთავარი პრობლემებია, რომლებიც განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენენ გარემოს ფაქტორებზე.

ENVIRONMENTAL PROTECTION ISSUES IN TBILISI, FROM 2015 TO 2018

LIKA KVITAISHVILI
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION
INFORMATION TECHNOLOGIES
LIKA.KVITAISHVILI.1@BTU.EDU.GE

In modern Georgia we are facing a really crucial problem, ecological situation is getting worse and worse daily. Here running infrastructural projects make an important impact on the environment. Nowadays Georgia's authority follows that kind of politics which includes that country has to adopt natural resources and regions first, and then we should start thinking about taking care of the environment. Getting income by harming the environment, usually is inadequate to restore it later. This fact is disregarded in Georgian reality, as a usual.
According to one of the researches, it was confirmed that in the capital exists a very dangerous situation . Here, the indicator of air pollution was exceeded by 300%. Also according to the 2016 year's statistics, Georgia was on the first level, where the main reason for the death rate was considered air pollution. That is why it has to be checked regularly whether transports are defective or the quality of fuel and so on… Because of this, it has a high priority to reach the information to as many people as possible about this topic and of course it is much more important to involve the authorities, who have the biggest privilege to attract people and involve them in the campaign. For example: to plant a tree once a year, reduce using plastic or polyethylene materials, recycle bottles or papers and so on…
Overall, in Georgia it is rare to have different opinions about existing ecological circumstances. How is it possible to have different points of view regarding this topic, when it is obvious today's or last 3 years' period's state. Transport emission, the condition of roads, burnt forests, deforested trees, the influence of factories and plants, garbage dropped in the streets and then this garbage ended up in the rivers or on the trees by the power of the wind and even fire in nature. These are those main problems which affect the environment most of all.
Finally, it is really regrettable to destroy the environment which we have got by heritage . We can proudly say that our country is really wealthy with its various nature, started from beautiful Racha ended up with Svaneti or Samegrelo. That is why we should have a common purpose to brighten our precious nature more and take care of the environment where we live and where the future generation will live.

გენდერული თანასწორობის შემეცნება პოლიტიკურ, სოციალურ, რელიგიურ ჭრილში ახლო აღმოსავლეთისა და დასავლურ ცივილიზაციებში

მარიამ იშხნელი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება
საინფორმაციო ტექნოლოგიები
MARIAMI.ISHKHNELI.1@BTU.EDU.GE

ჯონ ლოკის თანახმად თითოეულ ადამიანს აქვს სრული თავისუფლება, ბუნების კანონების საზღვრებში თავად გადაწყვიტოს, როგორ მოექცეს თავის საკუთრებასა და სხვა ადამიანებს. ეს, ამავე დროს, თანასწორობის მდგომარეობაა, როდესაც ყოველგვარი ძალა გაწონასწორებულია და არავის აქვს სხვაზე მეტი მინიჭებული. ცხადია, რომ ამ მდგომარეობაში ინდივიდებს, რომლებსაც ბუნებამ განურჩევლად მიანიჭა ყველა უპირატესობა და ერთი და იმავე უნარებით დააჯილდოვა, ასევე თანასწორნი უნდა იყვნენ ერთმანეთის მიმართ. სწორედ ამ ფაქტს ეყრდნობა გენდერული თანასწორობაც.

მოცემული ნაშრომი მოიცავს სხვადასხვა გენდერის ჩართულობის ზოგად მიმოხილვას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, კერძოდ პოლიტიკურ და რელიგიურ ჭრილში, დასავლეთისა და ახლო აღმოსავლთის ქვეყნებში. პირველ რიგში, ნაშრომში განმარტებულია გენდერის ცნება (სოციალური სქესი, განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის, რომელიც განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობით) და გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა, ის მიზნად ისახავს ქალებისა და მამაკაცების საზოგადოებაში სრული მონაწილეობის წახალისებას. ასევე აღნიშნულია, რომ დასავლეთისა და ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციებში არსებულ სხვა განსხვავებებთან ერთად ამ საკითხთან დაკავშრებითაც კონტრასტული სიტუაციაა. ნაშრომში განხილულია ამ ფუნდამენტური განსხვავებების, აზრთა შეუსაბამობის გამომწვევი მიზეზები და შედეგები. ამავდროულად, წინ არის წამოწეული საკითხი, ქალის ჩართულობა პოლიტიკურ საქმიანობასა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, რომელიც დღემდე გლობალურ პრობლემად რჩება. კვლევის შედეგი აჩვენებს, რომ ეს ორი პროფესია უფრო მეტად მამაკაცთა საქმიანობის სფეროდ განიხილება. ნაშრომში განხილულია ის ფაქტიც, თუ რა როლს თამაშობს სახელმწიფო გენდერული თანასწორობის დარეგულირებაში და ასევე რა გავლენა აქვს რელიგიას ამ საკითხთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ რელიგიური სწავლებანი, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების, გარკვეულწილად აშუქებენ საზოგადოებაში ქალის არათანასწორუფლებიან მდგომარეობას. კვლევა მიზნად ისახავს როგორც საზოგადოების ინფორმირებულობას, ასევე სათანადო არასამთავრობო თუ მთავრობათაშორისი ორგანიზაციების ინტერესის უფრო მეტად გაღვივებას გენდერული თანასწორობის შესახებ. მოცემული ნაშრომის გაცნობის შემდეგ საზოგადოება გახდება მეტად ინფორმირებული, შეექმნებათ მკაფიო წარმოდგენა, რა სიტუაციაა დღეს, ცდილობენ თუ არა საუკუნეების მანძილზე დარღვეული თანასწორობის აღდგენას ახლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში და რა მეთოდები შეიძლება იქნას გამოყენებული ერთი შეხედვით, მარტივ, მაგრამ ამავე დროს, მეტად კომპლექსური საკითხის გადასაჭრელად.

COGNITION OF GENDER EQUALITY IN A POLITICAL, SOCIAL AND RELIGIOUS CONTEXT IN THE MIDDLE EAST AND WESTERN CIVILIZATIONS

MARIAM ISHKHNELI
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION
INFORMATION TECHNOLOGIES
MARIAMI.ISHKHNELI.1@BTU.EDU.GE

According to John Locke, each person has full freedom to order his/her actions, and dispose of his/her possessions and persons, as he/she thinks fit, within the bounds of the law of nature. A state also of equality, wherein all power is balanced and nobody has more than one other. There being nothing more evident, than that people promiscuously born to all the same advantages of nature, and the use of the same faculties should also be equal one amongst another. Gender equality is also based on this fact.
This work includes a general overview of different gender engagement in all areas of public life, namely in political and religious perspectives in the West and the Near East countries. First of all, the study explains the notion of gender (Social sex, the difference between women and men, which is caused not by a biological, but social lifestyle) and the meaning of gender equality, which encourages full participation of women and men in society. It is also noted that there is a significant difference between the West and the Middle East civilizations regarding this issue. The research discusses these fundamental dissimilarities. At the same time, one remarkable issue is raised, women's involvement in the sphere of political activity and information technology, which still remains a global problem. The results of the study represent that these two professions are considered to be the field of men's activity. The study also discusses the role of the state in regulating gender equality and the influence of religion concerning this issue. It is noteworthy that religious teachings, particularly in the Middle East, are somewhat covered by the unwillingness of women in society. The research aims at raising public awareness, as well as the interest of appropriate non-governmental and intergovernmental organizations on gender equality. After the acquaintance of this work, people will become more informed and will have a clear idea of what situation is there today and how countries try to restore equality in the Middle East and West civilizations.

საკვები დანამატების მხრივ 2001-2005 წლებში მიღებული სტანდარტების დაცვა საქართველოში 2018 წელს

მარიამ ჩახვაძე
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება
საინფორმაციო ტექნოლოგიები
MARIAMI.CHAKHVADZE.1@BTU.EDU.GE

საკვები დანამატების აუცილებლობა დიდი ხნის წინ გამოჩნდა. საკვებ დანამატებს საკმაოდ ბევრი დადებითი თვისება და უპირატესობა ახასიათებს, რაც მოიცავს ფასს, შენახვის ხარისხსა თუ საკვებ ღირებულებას. დადებით მხარეებთან ერთად, ბევრი უარყოფითიც გააჩნია. ზოგიერთი საკვები დანამატი სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ამიტომ მსოფლიოს მასშტაბით დანერგილი სტანდარტებით მათი გამოყენება იკრძალება. მეცნიერების განვითარებასთან ერთად უფრო და უფრო მეტი საკვები დანამატის უარყოფითი მხარე იკვეთება, შესაბამისად სტანდარტებიც იცვლება და აკრძალული საკვები დანამატების სიაც იზრდება.

საქართველოში წლებია ამ მხრივ კანონი არ გადახედილა. 2001 და 2005 წლებში მიღებული ბრძანებებით 5 ემულგატორი იკრძალება, ევროპის სხვა ქვეყნებში კი ხუთზე ბევრად მეტი. მიუხედავად ამ ბრძანებებისა, მაღაზიის დახლებზე დალაგებული პროდუქტების შემადგენლობაში მათ მაინც ვხვდებით. საქმე მხოლოდ კანონების უმნიშვნელოდ დარღვევასთან არ გვაქვს. ახერხებს კი სახელმწიფო, რომელიც ყველაზე მეტად უნდა იცავდეს საკუთარ მოსახლეობას, თავისივე სტანდარტების შესაბამისად მოქმედებას? აუცილებელია ვიცოდეთ რას მივირთმევთ და ღირს თუ არა ვენდოთ ამ მხრივ სახელმწიფოს.

PROTECTING THE STANDARDS FOR FOOD ADDITIVES APPLIED IN 2001-2005 IN GEORGIA DURING 2018

MARIAM CHAKHVADZE
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION
INFORMATION TECHNOLOGIES
MARIAMI.CHAKHVADZE.1@BTU.EDU.GE

The need for food supplements appeared quite long. Food additives have a lot of positive features and advantages that include price, storage, or food value. Some of them are dangerous for human health, with the standards established throughout the world they are prohibited to use. Together with the development of science, more and more food additives are exposed consequently, standads also change and the list of prohibited food additives s increased.
There have been years in Georgia in this regard. By the orders issued in 2001 and 2005 years, 5 emulators are prohibited and in the other European countries more than five. In spite of these orders, emulators are still in the store, in the beautifully wrapped products. The case is not just a violation of the laws. Therefore, does the state, which should protect its population, operate in accordance with its own standards? It is necessary to know what we are eating and can we trust the state or not.

კიბერსპორტის დამკვიდრება ნამდვილი სპორტის ერთ-ერთ სახეობად
მიხეილ შავერდაშვილი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება
საინფორმაციო ტექნოლოგიები
MIKHEIL.SHAVERDASHVILI.1@BTU.EDU.GE

ვიდეო თამაშების პოპულარობამ გამოიწვია მოთამაშეებს შორის შეჯიბრებანი, დროთა განმავლობაში ამ დაპირისპირებებმა უფრო სერიოზული ფორმა მიიღო, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა კიბერსპორტი, რაც ნიშნავს კომპიუტერული თამაშების სპორტს.

ბევრი გუნდი ან ინდივიდი არის დაკავებული ამ სპორტით და იღებენ მონაწილეობას დიდ ჩემპიონატებზე. უამრავ ადამიანს აქვს იმის პრობლემა, რომ არ შეიძლება ეშპორტ ითვლებოდეს ნამდვილ სპორტად და უკვირთ, თუ რატომ არის მის ჩემპიონატებზე მილიონობით დოლარის მოგების შესაძლებლობა. საზოგადო აზრია, რომ თუ რაიმე საქმიანობა არ არის დაკავშირებული ფიზიკურ აქტივობასთან, ის არ შეიძლება ჩაითვალოს სპორტად, მაგრამ იმავე ლოგიკით რატომ არ შეიძლება ეშპორტს-ის სპორტად მოხსენიება თუ ჩვენ ჭადრაკს ან პოკერს სპორტად მოვიხსენიებთ.

პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების მხრიდან ეშპორტ-ის სპორტად არაღიარება, რაც ხელს უშლის აღნიშნული დარგის განვითარებას.

კვლევის მიზანია დაანახოს საზოგადოებას, რომ ეშპორტს არის ნამდვილი სპორტი, და შესაბამისად მისი მონაწილეები არიან ნამდვილი ათლეტები. აგრეთვე, მისი მიმდევრები იგივე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიან, როგორც სხვა სპორტის წარმომადგენლები. ყოველი ზემოჩამოთვლილის არაღიარება და იგნორირება უკან გადადგმული ნაბიჯია, როგორც მომავალი თაობისთვის, ასევე მათთვის, ვისაც სურს დღესდღეობით კიბერსპორტით დაკავება.

ESTABLISHING ESPORTS AS ONE OF THE REAL SPORTS

MIKHEIL SHAVERDASHVILI
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION
INFORMATION TECHNOLOGIES
MIKHEIL.SHAVERDASHVILI.1@BTU.EDU.GE

The popularity of video games caused competition among the players, as time progressed these competitions became more and more serious, thus creating eSports – a video game sport.

Many teams or individuals take part in eSports and participate in big championships. Many people have a problem that, eSports cannot be considered as a real sport and are surprised – why can the people participating win millions of dollars. Society thinks that if there is no physical activity involved, then it can not be considered a sport, but by the same logic why can't we call eSports a sport if we call chess a sport?
The problem is the public's notion of eSports as a sport, which prevents the development of the sector.

The goal of the research is to prove to the public that eSports is a real sport, and therefore its participants are real athletes. Also, its followers suffer the same physical and psychological pressure as other sportsmen. If all of the above-mentioned remarks are ignored, it will be a step back for the next generation, as well as for those who want to take part in eSports today.

მუსიკის გავლენა ადამიანის განწყობაზე
ნიკიტა ხატისოვი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება
მენეჯმენტი
NIKITA.KHATISOVI.1@BTU.EDU.GE

ნაშრომში „მუსიკის გავლენა ადამიანის განწყობაზე“ განვიხილე მუსიკა არა ხელოვნების, არამედ მეცნიერების მხრიდან. მუსიკა განუყოფელი ნაწილია ჩვენი ცხოვრების,მიუხედავად იმისა, თქვენ მას განზრახ უსმენთ თუ არა. შეიძლება, თქვენ არ ატარებდეთ ყურსასმენებს, როგორც დღევანდელი საზოგადოების უმეტესი წილი და საერთოდაც, თქვენით არ რთავდეთ და უსმენდეთ მას, ის მაინც თქვენს გარშემოა: კაფეებში, ბარებში, რესტორნებში, სავაჭრო ცენტრებსა თუ მარშუტკაში, ან თუნდაც ქუჩაში შემხვედრ ადამიანში, რომელიც კარგ გუნებაზეა და წაიმღერებს ხოლმე; დილით ჩიტების ჭიკჭიკში და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი კი ახდენს გავლენას ადამიანის განწყობაზე, აისახება მასზე დადებითად თუ უარყოფითად და თავის წილს დებს ჩვენი გადაწყვეტილების მიღებაში.

კვლევაში დავიხმარე მრავალი წყარო, რომლებმაც ნათლად აჩვენეს, რაოდენ მძლავრად მოქმედებს მუსიკა ჩვენზე. საკითხი განვიხილე ორივე - როგორც მუსიკოსის, ასევე მსმენელის - მხრიდან. განხილვამ ცხადყო, რომ მსმენელისგან განსხვავებით, მუსიკოსზე ის ახდენს პირდაპირ გავლენას, განსაკუთრებით ნათელი იყო მუსიკის ეფექტი ჯანმრთელობაზე. ხშირად მუსიკოსი, პირდაპირი მნიშვნელობით, წირავს საკუთარ თავს ხელოვნებისთვის, ხოლო მსმენელი კი მუსიკის დახმარებით მხნევდება, რადგან ავადმყოფობის პერიოდში ადამიანისთვის სასიამოვნო მუსიკის მოსმენის შემთხვევაში გამოჯანმრთელების ალბათობა იზრდება.
მეორე მნიშვნელოვანი პუნქტი ნაშრომში არის მუსიკა და მარკეტინგი. ვეცადე, მეჩვენებინა, თუ როგორ იყენებენ მუსიკას იმისთვის, რომ მოხმარებელმა რაც შეიძლება, მეტი დახარჯოს. ამის ნათელი მაგალითია სავაჭრო ცენტრები, კაზინოები და კვების ობიექტები.
თემის ერთ-ერთი ძირითადი მიზანიც სწორედ ეს იყო, მეჩვენებინა მკითხველისთვის თუ როგორ მოქმედებს მუსიკა ადამიანზე, როგორ იყენებენ ხშირად მას მარკეტინგულად და როგორ შეიძლება თავი ავარიდოთ მარკეტინგულ ხაფანგს.

IMPACT OF MUSIC ON HUMAN'S BEHAVIOR

NIKITA KHATISOVI
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION
MANAGEMENT
NIKITA.KHATISOVI.1@BTU.EDU.GE

In the research "Impact of music on human's behavior" I have discussed music not only from art, but also from the scientific side. Music is insepable part of our life, no matter if we listen it on purpose or not. Maybe you do not use headphones as majority of our society and do not turn music on your own, yet you are heard it everywhere, it is around us in: cafes, bars, restaurants, shopping malls or just in the random person walking in the street and singing. All this affects our mood, positively or negatively and it is taken part in making our decisions.

First of all, in research, I have used some sources, which shows us, how huge is impact of music in our life. I have considered that from both, musicians and listeners side. Intersting fact was shown, that music directly effects musicians health, due to weight of instruments, yet it is always positively effected pacients when they are listened for music which they are fond of it. On the other hand, second important thing I have discussed, was music and marketing. I was tried to show how marketers try to influence our behavior and force us to spend more. Best instances are: Casinos, shopping malls and eating places. Therefore, purpose of my research was to show readers how music effects on people and how it is used against us and how to not fall in the trap.

26 მაისთან დაკავშირებით უპასუხოდ დარჩენილი უამრავი კითხვა
შოთა ფირანაშვილი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება
საინფორმაციო ტექნოლოგიები
SHOTA.FIRANASHVILI.1@BTU.EDU.GE

26 მაისი მისი მნიშვნელობისა და ღირებულების გამო სამუდამოდ იქნა ოქროს ასოებით ჩაწერილი საქართველოს ისტორიაში. მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე ჩვენმა სამშობლომ ამ აქტით თავი დააღწია უცხო ბიუროკრატიულ-დესპოტურ წყობას და მისთვის ბუნებრივი, დასავლური, ცივილიზებული განვითარების გზა აირჩია, ახალი ორიენტაცია აიღო, სახელმწიფოსა და სამართლის დარგში მსოფლიო მიღწევების ეროვნულ ნიადაგზე ათვისება იწყო.

როცა ამ ნაშრომს ვწერდი, საქართველო ჯერ კიდევ პირველი დამოუკიდებლობიდან 100 წლის თავს აღნიშნავდა. ამიტომ სიმბოლურად მინდოდა ჩემი ნაშრომიც ამ დღისთვის მიმეძღვნა და ამით მკითხველთან 26 მაისის მნიშვნელობაზე მესაუბრა.

მაგრამ რა შეიცვალა ამ დროის განმავლობაში?

1918 წლიდან 100 წელი გავიდა. საკმაოდ დიდი დრო იმისთვის, რომ თამამად შევაფასოთ ეს დღე. გამოვიკვლიოთ და გავცეთ ყველა იმ უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს პასუხები, რაც დღემდე, 1 საუკუნის შემდეგაც კი არსებობს.

სწორედ ამიტომ ამ კვლევით ჩვენი მიზანია ზუსტი სურათი აღვადგინოთ, რა მოხდა კონკრეტულად 1918 წლის 26 მაისს და სად გაქრა დოკუმენტების ის დიდი ნაწილი, რომლებიც ქვეყნის დამოუკიდებლობას ადასტურებენ.

როგორი იყო საგარეო და საშინაო პრობლემები 1918 წლის 26 მაისის აქტის მიღებამდე. პირველწყაროებზე დაყრდნობით აღვადგინოთ მთელი პროცესი დამოუკიდებლობის გამოცხადების. რის გამოც ნაშრომში გამოიკვეთა ისეთი საკითხების შესწავლის აუცილებლობა, როგორიცაა: წინაპირობა, რომელიც წინ უძღოდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ეროვნული საბჭოს სხდომის ზუსტი სურათის აღდგენა, გერმანელების როლი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში და სხვა უამრავი საკითხი.



A LOTS OF UNANSWERED QUESTION WHICH IS RELATED TO 26 MAY

SHOTA FIRANASHVILI
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION
INFORMATION TECHNOLOGIES
SHOTA.FIRANASHVILI.1@BTU.EDU.GE

26 May due to its significance is wroten with gold letters in Georgian history. Everyone thought that this day was start of new era, way to development and advance, start of happines. Althrow...

When I was writing this letter, Georgia still was celebratting 100 years. So for this I wanted decide write this letter and talk about importance of this day.

But what was changed during for this time?

The country and its castles which is so proud look at georgian lend, still have trace of bullet. And not only. Castles this truce also have people and this everything creates our history.

100 year have pussed from 1918. It's so much time to rate that day.

Lets find out and answer every each unanswered questions which exist from 26 May.

And why we did this?

That was one of main reason why I need wrote about 26 May. I want to everyone know about 26 May. Because this is a day for why we are independed and free now. It's our obligation to know and remember 26 May forever.

ტერორიზმის აღმოფხვრის გზები საქართველოში
საბა ქოსაშვილი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება
საინფორმაციო ტექნოლოგიები
SABA.KOSASHVILI.1@BTU.EDU.GE

ტერორიზმი.ხშირად ამ სიტყვის წარმოთქმისა თუ გააზრების დროსაც კი ადამიანებს შიშის ზარი სცემთ.რა არის ტერორიზმი? რატომ მიმართავს ხალხი მას? რა ბერკეტები არსებობს იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ და აღმოვფხვრათ ის? რამდენად მომზადებულია საქართველო მასთან გასამკლავებლად? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემა დაგვეხმარება დავადგინოთ, თუ რა საშუალებების გამოყენება შეგვიძლია ტერორიზმის თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად.

ტერორიზმი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ძალადობის გამოყენებაა, რომლის მიზანი არა მოწინააღმდეგისადმი რაიმე სტრატეგიული ზიანის მიყენება, არამედ შიშის დანერგვა და შანტაჟია.ტერორიზმი დღევანდელ პერიოდში დიდ აქტუალობას იძენს ვინაიდან:1)ტერორიზმი უდიდეს საფრთხეს უქმნის სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და დემოკრატიის შემდგომ განვითარებას;2)ტერორიზმი საზოგადოებაში ნეგატიურ შედეგებს იწვევს; 3)მოსახლეობაში ამყარებს მუდმივი შიშის სინდრომს და 4)ხელყოფს ადამიანთა სიცოცხლეს. 2001 წელს ნიუ-იორკში მომხდარმა ტერორისტულმა თავდასხმამ, რომელსაც უდიდესი მსხვერპლი მოჰყვა, წარუშლელი კვალი დატოვა ყველაზე.მსგავსი აქტების უამრავი შემთხვევა არსებობს, ამიტომაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა დღესდღეობით კვლავაც აქტუალური რჩება. ამასთან, უნდა აღინიშოს, რომ ტერორიზმის სრულად აღმოფხვრა მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებაც კი ვერ შეძლეს.თუმცა, არსებობს გზები, რითაც საგრძნობლად შეიძლება შემცირდეს ტერორისტული აქტები და მათი ძლიერი მხარეეები, მათ სისუსტეებად იქცეს, თავდასხმისას ან მანამდე.

თანამედროვე ტერორისტებს გააჩნიათ მზარდი ტექნიკური აღჭურვილობა, საკმაოდ დიდი ფინანსური მხარდაჭერა და ორგანიზების მაღალი დონე.საჭიროა მძლავრი და დიდი რაოდენობის რესურსი, როგორც ტექნიკური ისე ადამიანური. ადამიანური რესურსების გაზრდას კი იმ შემთხვევაში მოახერხებენ, თუ მათი იდეოლოგია სხვებისთვისაც საერთო პრობლემასა და საწუხარს მოიცავს.საქართველო ტერორისტულ აქტებს, მიუხედავად მისი მცირე რაოდენობით არსებობისა, საკმაოდ მომზადებული ხვდება.ყველა ანტიტერორისტულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს დიდი მატერიალური და ამასთანავე მზარდი ტექნიკური აღჭურვილობა,რომელიც საქართველოს უკვე განახლებული სახით გააჩნია.

ტერორისტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძალა იარაღია. თუ მკაცრად გავაკონტროლებთ იარაღის ყიდვა-გაყიდვას ნებისმიერ ადგილას, თუ გავამკაცრებთ კანონს იარაღის ტარებაზე, ამან შეიძლება ტერორისტებს გზა მოუჭრას.

THE WAYS OF ELIMINATION OF TERRORISM IN GEORGIA

SABA KOSASHVILI
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION
INFORMATION TECHNOLOGIES
SABA.KOSASHVILI.1@BTU.EDU.GE

Terrorism. Even the word makes your blood run cold. What is terrorism? Why do people use it? What are the levers to avoid and eradicate it? How prepared is Georgia to handle it? Finding answers to these and other questions will help us discover, what kind of measures we can take to prevent and eliminate terrorism.

Terrorism is the use of violence to achieve political goals the purpose of which is not strategically harming to the enemy but to inciting fear and blackmailing. Terrorism is gaining importance nowdays, due to the following reasons: 1) Terrorism is the biggest threat to the formation of a legal state and further development of democracy; 2) terrorism has negative consequences in the society; 3)if incites permanent fear syndrome in the population; 4) it sacrifices human lives. A terrorist attack in New York in 2001, with numerous casualties is one of the worst nightmare, which will never be forgotten. We have witnessed similar acts, that is why the problem of combating terrorism is still acute. It should also be noted, that the world's leading countries were unable to eliminate terrorism completely. However, there are ways that can significantly reduce terrorist acts and turn their strength into weakness during or after attack.

Modern terrorists have a growing technical equipment, high financial support and are well organized. In order to deal with it, both strong and large amount of technical and human resources are needed. They will be able to increase human resources in case their ideology and concern will be shared by others. Georgia mostly acts terrorist attacks quite well.All anti-terrorist organizations must have huge financial resources and increasing technical equipment which Georgia has already got.

One of the most important weapons for terrorists is the arms. If we strictly control the trade weapons in any place, if we tighten the law on carrying, this can greatly stop the progression of terrorism.

განათლების ისტორია და მისი დონე საქართველოში
ლუკა ფარჩუკიძე
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება
საინფორმაციო ტექნოლოგიები
LUKA.PARCHUKIDZE.1@BTU.EDU.GE

„არ არსებობს მომავალი წარსულის გარეშე“ - სწორედ მოცემული მოტივით დაიწერა კვლევა, რომელიც მიმოიხილავს საქართველოს ღირსეულ საგანმანათლებლო წარსულს, რომელიც თავის მხრივ ანტიკური ხანიდან იწყება. დროთა განმავლობაში იგი ძირეულ ცვლილებებს განიცდიდა და ძირითად პერიოდებში წარმოადგენდა ცივილიზაციებს შორის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ საგანმანათლებლო სისტემას.

კვლევაში ისტორიული მიმოხილვის გარდა, ყურადღება დათმობილია სწავლის პოპულარიზაციასა და მომავალში განსახორციელებელ ნაბიჯებზე, რაც განათლების დონის ამაღლებისა და ქვეყნის განვითარების მაპროვოცირებელი ფაქტორი იქნება. სახელმწიფო თანამედროვე გამოწვევებს ნებისმიერ საკითხში უნდა პასუხობდეს, თუმცა დღეს საქართველოს ნაკლებად შესწევს ძალა იმისა, რომ მსოფლიოში არსებულ მაღალი დონის განათლების სისტემებს კონკურენციას უწევდეს. ცოდნის მიღება არასდროს კარგავს აქტუალობას დროის, იდეოლოგიების ცვლილების, გლობალიზაციის, რელიგიების ჩამოყალიბებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი მსოფლიო მოვლენების მიუხედავად.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვაში ადგილი ეთმობა ცნობილი განმანათლებლებისა და საზოგადო მოღვაწეების - ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებებს, რომლებიც წარმოაჩენენ იმდროინდელი სასწავლებლებისა და პედაგოგების ნაკლოვანებებს, გარდა ამისა, აფასებენ სკოლის როლს ადამიანის ჩამოყალიბებისა და პროფესიული განვითარების საქმეში. ვინაიდან ქვეყნის განათლების პრობლემები დღესაც აქტუალურია, ნაშრომში მოხმობილია ლევან ბერძენიშვილისა და ლევან გიგინეიშვილის აზრები, რომლებსაც ისინი 2016 წელს ბათუმში ჩატარებული საჯარო ლექციის დროს ზემოხსენებულ საკითხებზე აფიქსირებენ.

კვლევის მიზანია განათლების სისტემის პრობლემების წარმოჩენა, კრიტიკული შეფასება და მისი ოპტიმატიზირებისათვის შესაძლო ეტაპების განხილვა ადეკვატური არგუმენტებითა და წყაროებით.

THE HISTORY AND EVOLUTION OF GEORGIA'S EDUCATION UNTIL 2018

LUKA FARCHUKIDZE
BUSINESS AND TECHNOLOGY UNIVERSITY
BUSINESS ADMINISTRATION
INFORMATION TECHNOLOGIES
LUKA.PARCHUKIDZE.1@BTU.EDU.GE

"There is no future without the past" – the quote's meaning is the prime motive for this research, which reviews Georgia's honorable educational past, which in turn originates from the times of classical antiquity. Georgia's education system experienced many core changes over the years and during the main stages of the country's existence, compared to other civilizations of the era, it represented one of the most advanced variations of the system's type.
The research not only glances over the history, but also focuses on the popularization of studying and the steps which are ought to be taken in order for the level of education to increase and for the country to have an inciting factor of its own development. Any country should be able to answer accordingly to the challenges which occur in modern times. However, right now Georgia does not have enough power to compete with the highly developed education systems around the world. The yearn for knowledge never loses its purpose regardless of time, changes in ideology, globalization, beginnings of new religions and so forth.

The content of literature cited in the research portrays the point of views of two renowned Georgian educators and public figures – Ilia Chavchavadze and Iakob Gogebashvili. They expose the faults of schools and teachers of those times and evaluate the role of schools in regards of helping people develop profesionally and as human beings. Since the problems regarding the education system persist to this day, the research also depicts the opinions of two modern philologists and public figures – Levan Berdzenishvili and Levan Gigineishvili, both of whom have talked about the aforementioned topics in 2016 during a public lecture in Batumi.
The goal of the research is to describe the problems related to Georgia's education system, constructively criticising it and reviewing the possible steps which can be taken to optimize its efficiency with existing arguments and sources.

კონტაქტი

0162, თბილისი, საქართველო
ი.ჭავჭავაძის გამზირი 82
INFO@BTU.EDU.GE
WWW.BTU.EDU.GE
+995322308055 / +995574996116

გამოგვყევი:

DESIGN BY TINA MAKASHVILI



WWW.BTU.EDU.GE